ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3772886

ნომერი: AR1565753

თარიღი : 19.12.2017

გაცემის თარიღი : 11.01.2018

გაცნობის თარიღი : 15.01.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვალენტინ თოფურიძის ქუჩის II შესახვევი, N 1 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ვალენტინ თოფურიძის , შესახვევი II , N1-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევან გობეჯიშვილი პ/ნ 62011001618
- თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ჯავახეთის ქ., I შეს., N 9, ბ. 10

ორგანიზაცია:
- სან ჰაუსი კოდი: 406197413

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 07 დეკემბრის №3698235 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 19 დეკემბერს №AR1565753 განცხადებით მომართა ლევან გობეჯიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 07 დეკემბრის №3698235 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 07 დეკემბრის №3698235 ბრძანებით გასწორდა ტექნიკურ შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 აგვისტოს №3495463 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდა 6101.7 კვ.მ; საცხოვრებელ ფართობად 3841.7 კვ.მ; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 503.5 კვ.მ; ავტოსადგომების ფართობად 332.9 კვ.მ. განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 07 დეკემბრის №3698235 ბრძანებაში შეცდომით იქნა დაფიქსირებული ფართობები, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდა 6097.0 კვ.მ; საცხოვრებელ ფართობად 3837.7 კვ.მ; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 503.2 კვ.მ; ავტოსადგომების ფართობად 332.5 კვ.მ. ამასთან, 2017 წლის 15 ნოემბრის №AR1558301 განცხადებაზე განმცხადებელი ითხოვდა საცხოვრებელ ფართობად 3837.7 კვ.მ-ის ნაცვლად 3841.7 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 503.2 კვ.მ-ის ნაცვლად 503.5 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 332.5 კვ.მ-ის ნაცვლად 332.9 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 6097.0 კვ.მ-ის ნაცვლად 6101.7 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 07 დეკემბრის №3698235 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 07 დეკემბრის №3698235 ბრძანებაში, კერძოდ: ბრძანების სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 აგვისტოს №3495463 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 3841.7 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 503.5 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად 332.9 კვ.მ, საერთო ფართობად 6101.7 კვ.მ''.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 აგვისტოს №3495463 ბრძანებით შეთანხმებული -1 სართულზე, 1 სართულზე, მე-3 სართულზე, მე-4 სართულზე, მე-5 სართულზე, მე-6 სართულზე, მე-7 სართულზე, მე-8 სართულზე, მე-9 სართულზე და მე-10 სართულზე მდებარე გეგმები ჩანაცვლდეს 2017 წლის 15 ნოემბრის №AR1558301 განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 აგვისტოს №3495463 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 აგვისტოს №3495463 ბრძანებასთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ.თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.''

2. ამოღებულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 07 დეკემბრის №3698235 ბრძანებიდან მესამე აბზაცი: ,,განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტის ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირებულია 6101.7 კვ.მ

ნაცვლად 6097.0 კვ.მ-ისა; საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირებულია 3841.7 კვ.მ ნაცვლად 3837.7 კვ.მ-ისა; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირებულია 503.5 კვ.მ ნაცვლად - 503.2 კვ.მ-ისა; ავტოსადგომების ფართობად დაფიქსირებულია332.9 კვ.მ ნაცვლად - 332.5 კვ.მ-ისა.''

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 07 დეკემბრის №3698235 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 07 დეკემბრის №3698235 და 2017 წლის 24 აგვისტოს №3495463 ბრძანებებთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ.თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.